„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.04.001.016256) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. V კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბიუჯეტი, ქონება და საჯარო შესყიდვები“.

2. 73-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 73. საჯარო შესყიდვების მართვა და ორგანიზება

1. პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მისი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით საჯარო შესყიდვები ხორციელდება ცენტრალიზებულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საჯარო შესყიდვის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

9 თებერვალი 2023 წ.

N2579-XIმს-Xმპ